სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

_____ კახაბერ კირტავა

15. 09. 2017 წელი

ეგზ N1

სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 42/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1.შემოკლებანი....3

2.შემაჯამებელი მიმოხილვა....3

3. აუდიტის მიზანი და მასშტაბი....5

4. საქმიანობის მოკლე მიმოხილვა....6

5. ძირითადი ტექსტი....8

5.1. სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა....8

5.2. დაქირავებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯი....9

5.3. სოციალური დახმარება....11

5.4. სატელევიზიო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება....13

5.5. საკორესპონდენტო პუნქტებზე გაწეული ხარჯი....14

5.6. კინო და ვიდეო მომსახურება....15

5.7. ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია და სატელევიზიო სტუდიის მოწყობა....17

5.8. სატელევიზიო პროგრამების დამზადება-მომსახურება....19

6. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები....20

1.შემოკლებანი

სსიპ-საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო - აჭარის ტელევიზია და რადიო.

2.შემაჯამებელი მიმოხილვა

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი ავტომანქანის ნაცვლად, იმავე ღირებულებით ჩანაცვლებული სხვა მოდელის, განსხვავებული პარამეტრების და ნაკლები მოცულობის ძრავის მქონე ავტომანქანის მიღება, შესაძლოა მიმართული იყოს მიმწოდებლისათვის საჯარიმო სანქციის თავის არიდებაზე. გვ.8
- თბილისის საკორესპონდენტო პუნქტისათვის, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავებისათვის გაწეულია საწვავის ხარჯი 26,07 ათასი ლარი, სადაც ადგილი აქვს სატენდერო წინადადების/ხელშეკრულების პირობებთან და GPS მომსახურების მონაცემებთან შეუსაბამობას. გვ.10
- თბილისის საკორესპონდენტო პუნქტისათვის, 2016 წელში სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავებასთან დაკავშირებით, 2015 წელს განხორციელებული 12,5 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვა, განხორციელებულია პრეტენდენტთა არაერთგვაროვანი მიდგომით და შესაძლოა კონკრეტულ პრეტენდენტზე იყოს ორიენტირებული. გვ.11
- თანამშრომელთა ორსულობისა და მშობიარობის გამო, საკომპენსაციო ხარჯი 11.3 ათასი ლარი, არაერთგვაროვანი მიდგომით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასაქმების ვადის გასვლის შემდეგ პერიოდზეა გაწეული. გვ.12
- სატელევიზიო აპარატურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, სატენდერო წინანადებაში და ხელშეკრულებაში მითითებული შესყიდვის კატეგორია და ფაქტობრივად განხორციელებული მიწოდება ურთიერთშეუსაბამოა. გვ.13
- სატელევიზიო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, შესაბამისი კატეგორიის არასწორად მითითება, გამოცდილების შესახებ მონაცემების წარმოუდგენლობის პირობებში, სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტის გამარჯვებულად აღიარება და მომსახურების ვადის სათანადო მტკიცებულების გარეშე გაგრძელება, პრეტენდენტთა შეზღუდვაზე მიუთითებს და შესაძლოა შესყიდვა კონკრეტულ პრეტენდენტზე იყოს ორიენტირებული. გვ.13
- აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებზე, უსასყიდლოდ გადაცემული 26,84 ათასი ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით სრულყოფილად ხარჯვა, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება, ხოლო რიგ შემთხვევაში საინფორმაციო გადაცემისათვის საკორესპონდენტო პუნქტებში, თანამშრომელთა მივლინების აუცილებლობა იდენტიფიცირებული არ არის. გვ.14
- აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ, 2015-2016 წლებში, სამჯერადი სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა არაერთგვაროვანი მიდგომით არის განხორციელებული, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასათანადო მტკიცებულებით არის განსაზღვრული, ხოლო სატენდრო წინადადებით გათვალისწინებული ფილმების სახელობითი სიის წარმოუდგენლობა და შესაბამისი მტკიცებულების გარეშე მისაწოდებელი ფილმების

რაოდენობის და სახეობის ცვლილება, შესაძლოა კონკრეტულ პრეტენდენტზე იყოს ორიენტირებული. გვ.16

- ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხის და ხარჯთაღრიცხვის სხვა პირობებთან შესაბამისობის დადასტურების გარეშე, გადახდილია მიმწოდებელზე 56,6 ათასი ლარი. გვ.17
- სატელევიზიო სტუდიების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ მტკიცებულების წარმოუდგენლობის პირობებში, სატენდერო კომისიის მიერ, პრეტენდენტი გამარჯვებულად იქნა აღიარებული. გვ.18
- სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში, არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებ,ა საჯარიმო სანქციასთან დაკავშირებით, ხოლო არგუმენტირებული მტკიცებულების გარეშეა განხორციელებული სატელევიზიო პროგრამების დამზადება-მომსახურება- შემცირება. გვ.19

რეკომენდაცია:

- სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც შემდგომში აღმოფხვრის სატენდერო წინადადების შეუსაბამოდ აქტივების შეძენას;
- დაქირავებულ სატრანსპორტო საშუალებებზე ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით, გონივრულ ვადაში შემუშავდეს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები. უზრუნველყოფილი იქნეს ხარჯების დანიშნულებისამებრ გაწევის მტკიცებულებულებათა იდენტიფიცირება და საბუღალტრო დოკუმენტებში ასახულ მონაცემებთან ურთიერთშესაბამისობა;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორცილებასთან დაკავშირებით. გაძლიერდეს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის პრეტენდენტთა არაერთგვაროვან მიდგომას;
- ანალოგიური დარღვევის შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და ყველა თანამშრომლისთვის საკომპენსაციო თანხების გაცემა განხორციელდეს ერთგვაროვნად, კანონის შესაბამისად;
- აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობამ, ანალოგიური დარღვევის შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, გააძლიეროს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის კანონშეუსაბამოდ შესყიდვის განხორციელებას და პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვას;
- ანალოგიური ნაკლოვანების შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს საკორესპონდენტო პუნქტებში დასაქმებულ პირთა მიერ გაწეული საქმიანობის, უსასყიდლოდ გაცემული საწვავის დანიშნულებისამებრ ხარჯვის და თანამშრომელთა მივლინების აუცილებლობის იდენტიფიცირებას;
- აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობამ, გააძლიეროს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის ერთი და იმავე პირობებში აქტივების შესყიდვის

არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებას, არასათანადო მტკიცებულებით აქტივების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრას და შესყიდვის კონკრეტულ პრეტენდენტზე შესაძლო უპირატესობის მინიჭებას;

- დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომ შემდგომში სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების მიმწოდებელზე გადახდა განხორციელდეს სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების პირობებში;
- აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, რომ შერჩევის ეტაპზე აღმოიფხვრას პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების, სატენდერო წინადადებასთან შეუსაბამობის პირობებში გამარჯვებულის გამოვლენა;
- მიმწოდებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გონივრულ ვადაში იმსჯელონ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებასთან დაკავშირებით.

3. აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში, ორგანიზაციის მიერ, მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები, რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა დაწესებულების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს ტელევიზიის მიერ, 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, განხორციელებული შემდეგი საქმიანობა:

- შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემის მდგომარეობა;
- მივლინებისათვის გაწეული ხარჯების მდგომარეობა;
- წარმომადგენლობითი ხარჯების განკარგვის მდგომარეობა;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
- აქტივების მართვა-განკარგვის მდგომარეობა.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, 2015-2016 წლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4000), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.
აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015-2016 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობების ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000) მოთხოვნების მიხედვით-„ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

4. საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო (შემდგომში - "აჭარის ტელევიზია და რადიო") დაფუძნებულია და თავის საქმიანობას ახორციელებს "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. აჭარის ტელევიზია და რადიო არის საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებებისაგან

დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიზანს წარმოადგენს: საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელება. საზოგადოებისათვის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება. შექმნილი ტელე-რადიო პროდუქციით, გაწეული მომსახურებითა და შესრულებული სამუშაოებით ტელე-რადიო მაუწყებლობის დარგში საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურა - მრჩეველთა საბჭო და მისი აპარატი, დირექტორი, დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში, დირექტორის მოადგილე ტექნიკური განვითარების დარგში, სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური, რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის განვითარების სამსახური, ახალი ამბების სამსახური, საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახური, მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური, ფინანსური ეფექტიანობის სამსახური, იურიდიული მხარდაჭერის სამსახური, საკადრო ბაზის განვითარების სამსახური, საარქივო სამსახური, მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახური, შიდა აუდიტის სამსახური. მისამართია: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი N 41.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტი წარმოდგენილია ცხრილის სახით:

შემოსავალი			**ხარჯი**		
კოდი	**შემოსავლის წყარო**	**სულ თანხა**	**კოდი**	**დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**	**სულ თანხა**
	2015 წელი				
	ნაშთი (01/01/2015)	11197.97	21	შრომის ანაზღაურება	1108149.00
141	შემოსავლები საკუთრებიდან	11785.00	22	საქონელი და მომსახურება	4241994.23
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142469.00	26	გრანტები	116708.45
143	სანქციები, ჯარიმები, საურავები	88.08	27	სოციალური უზრუნველყოფა	17711.14
420102	გრანტი	117 125.00	28	სხვა ხარჯები	151288.44
420102	სახელმწიფო ბიუჯეტი	6 120 536.67	31	არაფინანსური აქტივების ზრდა	743164.33
ჯამი		***6 403 201.72***			***6 379 015.59***
	2016 წელი				
	ნაშთი (01/01/2016)	24186.13	21	შრომის ანაზღაურება	1579932.14
141	შემოსავლები საკუთრებიდან	550.00	22	საქონელი და მომსახურება	4112420.55
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	140300.07	26	გრანტები	32618.20
420102	გრანტი	32 200.00	27	სოციალური უზრუნველყოფა	48984.59
420102	სახელმწიფო ბიუჯეტი	6 596 452.24	28	სხვა ხარჯები	104404.18
			31	არაფინანსური აქტივების ზრდა	874489.66
ჯამი		***6 793 688.44***			***6 752 849.32***

ცხრილი N 1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს *შემოსავლების და ხარჯების შესახებ, ლარი.*

5. ძირითადი ტექსტი

5.1. სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა

5.1.1. კრიტერიუმი: სამი ერთეული მსუბუქი ავტომობილის[1] შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის (SPA160004319) მიხედვით, მისაწოდებელი ავტომობილების ტექნიკური მახასიათებლები მინიმალური აუცილებელი მოთხოვნაა და პრეტენდენტის მიერ მათი გაუმჯობესება არ იზღუდება. მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მიწოდების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 40 კალენდარული დღე[2], ხოლო მიწოდების ვადის დარღვევისათვის გათვალისწინებულია პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%.

გამოვლენილი გარემოება: სამი ერთეული მსუბუქი ავტომობილის მიწოდებასთან დაკავშირებით აჭარის ტელევიზია და რადიოს ხელმძღვანელსა და ინდ. მეწარმე მანუჩარ დუმბაძეს შორის, 2016 წლის 15 თებერვალს გაფორმებული N55 ხელშეკრულებით (ღირებულება 66,6 ათასი ლარი,) გათვალისწინებულ მიწოდების ვადაში, 2016 წლის 18 მარტამდე, მიწოდებულია ავტომანქანა SUZUKI GRAND Vitara - 22,2 ათასი ლარის ღირებულების. მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ, 2016 წლის 12 აპრილს მიწოდებულია ავტომანქანა MITSUBISHI OUTLANDER - 22,2 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო მესამე ავტომანქანა HONDA cr-v-ის მიწოდება ფაქტობრივად არ განხორციელებულა, თუმცა 2016 წლის 20 აპრილს შეტანილია ცვლილება ხელშეკრულებაში, შეცვლილია მისაწოდებელი ავტომანქანის მოდელი[3] და იმავე დღეს, იგივე ღირებულებით მიწოდებულია SUZUKI GRAND Vitara. უნდა აღინიშნოს, რომ შეცვლილი მიწოდებული ავტომანქანის ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება საწყის ეტაპზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისაწოდებელი ტექნიკის მახასიათებლებს[4], ხოლო მიწოდებული ავტომანქანის ძრავის მოცულობა ნაკლებია სატენდერო წინადადებით გათვალიწინებულ მოცულობაზე[5].

დასკვნა:

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი ავტომანქანის ნაცვლად, იმავე ღირებულებით, ჩანაცვლებული სხვა მოდელის, განსხვავებული პარამეტრების და ნაკლები მოცულობის ძრავის მქონე ავტომანქანის მიღება შესაძლოა მიმართული იყოს მიმწოდებლისათვის საჯარიმო სანქციის თავის არიდებაზე.

---

[1] ჯიპი: MITSUBISHI OUTLANDER - მწარმოებელი ქვეყანა აშშ/ იაპონია- ღირებულება 22 222 ლარი. HONDA cr-v - მწარმოებელი ქვეყანა აშშ, ღირებულება 22 222 ლარი და SUZUKI GRAND Vitara -მწარმოებელი ქვეყანა აშშ/იაპონია, ღირებულება 22 221 ლარი.

[2] ძალაშია 19/02/2016 წლიდან 31/03/2016 წლამდე-40 დღე.

[3] ნაცვლად HONDA cr-v - მწარმოებელი ქვეყანა აშშ, ღირებულება 22 222 ლარი, შეცვლილია SUZUKI GRAND Vitara -მწარმოებელი ქვეყანა იაპონია, ღირებულება 22 221 ლარი.

[4] მისაწოდებელი ავტომანქანის მახასაიათებელია: სიმაღლე-1680მმ, სიგანე-1820მმ. სიგრძე-4530მმ, ძრავის მოცულობა-2354სმ/კუბ. მიწოდებული ავტომანქანის მახასაიათებელია: სიმაღლე-1695 მმ, სიგანე-1810მმ. სიგრძე-4575მმ, ძრავის მოცულობა-1997სმ/კუბ.

[5] სატენდერო წინადადება ითვალისწინებდა 2000სმ/კუბ-დან არაუმეტეს 2500სმ/კუბ. მიწოდებული ძრავის სიმძლავრეა 1997სმ/კუბ.

რეკომენდაცია:

სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც შემდგომში აღმოფხვრის სატენდერო წინადადების შეუსაბამოდ აქტივების შეძენას.

5.2. დაქირავებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯი

5.2.1 კრიტერიუმი: სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავებასთან დაკავშირებით, 2014 წლის 9 დეკემბერს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია (SPA140028933), ითვალისწინებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს რეპორტიორისა და ოპერატორის გადაადგილებისათვის ავტომანქანით (მძღოლთან ერთად) მომსახურების შესყიდვას, მათ შორის თბილისის ოფისისთვის 2 ავტომანქანით მომსახურებას, ხოლო ბათუმში 3 ავტომანქანით მომსახურებას (მათ შორის 2 ავტომანქანა, არანაკლებ 8 კაცის ტევადობით). მანქანების საწვავით უზრუნველყოფას ახორციელებს შემსყიდველი, ხოლო მომსახურება უნდა განხორციელებულიყო კვირაში 6 დღე, 10 საათიდან 19 საათამდე, გამონაკლის შემთხვევაში ღამის საათებშიც.

გამოვლენილი გარემოება: სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების, 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, დაქირავებასთან დაკავშირებით, 2014 წლის 9 დეკემბერს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA140028933) მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, შპს ,,ქეი ენ ედვენჩერი", რომელიც გამოვლინდა გამარჯვებულად და 2014 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულია N224 ხელშეკრულება. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 54,9 ათას ლარს და ითვალისწინებდა 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების ბათუმში მომსახურებას (მათ შორის 2 ავტომანქანა, არანაკლებ 8 კაცის ტევადობით) და 2 ერთეული სატრანსპორტო საშუალებით ქ. თბილისში (თბილისის ბიუროს) მომსახურებას. სატენდერო წინადადებაში და ხელშეკრულებაში არ არის იდენტიფიცირებული[6] სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო მომსახურება. მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია, რომ თბილისში ემსახურებოდა[7] ერთი ავტომანქანა, ბათუმში ოთხი ავტომანქანა, თუმცა არ არის იდენტიფიცირებული სატრანსპორტო საშუალების მარკა/მოდელი, სახელმწიფო ნომერი და ტევადობა, ხოლო ბათუმში გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულებასთან (ფასების ცხრილი) შედარებით გაზრდილია და გადახდილია 0,4 ათასი ლარით მეტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტომანქანების სახელმწიფო ნომერი მითითებულია მხოლოდ საწვავის ხარჯვის ლიმიტში, თუმცა 5 ავტომანქანიდან 4 ავტომანქანის გადაადგილების შესახებ ინფორმაცია აჭარის ტელევიზიისა და რადიოს GPS მომსახურების მონაცემებით არ არის ასახული, ხოლო ერთი ავტომანქანის[8] მოძრაობის შესახებ ინფორმაცია (გადაადგილება) არ შეესაბამება სატენდერო წინადადებით და

[6] ტელევიზიისა და რადიოს საქმისწარმოების მონაცემებით, 2015-2016 წლებში ავტომანქანების იდენტიფიცირებაზე კორესპონდენცია არ არის რეგისტრირებული.
[7] 2015 წლის მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი.
[8] სახელნწიფო ნომერი FEF 899.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდს. აღნიშნულ პირობებში, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ნაჩვენებია 15 928 ლიტრი, 26,07 ათასი ლარის ღირებულების ბენზინის ხარჯვა, ხოლო მომსახურებისათვის გადახდილია 54,86 ათასი ლარი.

5.2.2 კრიტერიუმი: სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავებასთან დაკავშირებით, 2015 წლის 17 დეკემბერს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია (SPA150034924), ითვალისწინებს თბილისის საკორესპონდენტო პუნქტისათვის (აჭარის ტელევიზიისა და რადიოს რეპორტიორისა და ოპერატორის გადაადგილებისათვის) ერთი ავტომანქანით (მძღოლთან ერთად) მომსახურების შესყიდვას. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 18,0 ათას ლარს, მანქანების საწვავით უზრუნველყოფას ახორციელებს შემსყიდველი, ხოლო მომსახურება უნდა განხორციელებულიყო კვირაში 7 დღე, 10 საათიდან 19 საათამდე, გამონაკლის შემთხვევაში ღამის საათებშიც. სატენდერო წინადადების მიხედვით, პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ფასების ცხრილი, რეკვიზიტები და ტექნიკური პირობები, სადაც განსაზღვრულია ავტომანქანის მარკა/მოდელი, ძრავის მოცულობა და საწვავის ტიპი.

გამოვლენილი გარემოება: სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების, 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, დაქირავებასთან დაკავშირებით, 2015 წლის 17 დეკემბერს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150034924) მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი[9]. ვაჭრობის შედეგად, ერთი ლარის უპირატესობით გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,ქეი ენ ედვენჩერი“ და 2015 წლის 31 დეკემბერს გაფორმებულია N191 ხელშეკრულება, 12,5 ათასი ლარის მომსახურების შესყიდვაზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ გამარჯვებულ პრეტენდენტს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არა აქვს ატვირთული[10] სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული ტექნიკური პირობები[11] (სადაც განსაზღვრულია მომსახურებისათვის გათვალისწინებული ავტომანქანის მარკა/მოდელი, ძრავის მოცულობა, და საწვავის ტიპი), თუმცა სატენდერო კომისიას (სხდომის ოქმების მიხედვით) აღნიშნულ საკითხზე არ უმსჯელია და გამარჯვებულად იქნა აღიარებული. სატენდერო წინადადებაში და ხელშეკრულებაში არ არის იდენტიფიცირებული[12] სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო მომსახურება. მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია, რომ თბილისში ემსახურებოდა ერთი ავტომანქანა, თუმცა არ არის იდენტიფიცირებული სატრანსპორტო საშუალების მარკა/მოდელი და სახელმწიფო ნომერი და ტევადობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტომანქანების სახელმწიფო ნომერი მითითებულია მხოლოდ საწვავის

[9] ი/მ ლალი საჯაია-სავარაუდო ღირებულება 18 000 ლარი, შპს ,, ქეი ენ ედვენჩერი“-სავარაუდო რირებულება 15 888 ლარი.

[10] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-12 მ უხლის მე-5 პუნქტი,

[11] მეორე პრეტენდენტის მიერ ატვირთულია სატენდერო წინადადების შესაბამისად.

[12] ტელევიზიისა და რადიოს საქმისწარმოების მონაცემებით, 2015-2016 წლებში ავტომანქანების იდენტიფიცირებაზე კორესპონდენცია არ არის რეგისტრირებული

ხარჯვის ლიმიტის განსაზღვრის ბრძანებაში, ავტომანქანის[13] მოძრაობის შესახებ ინფორმაცია (გადაადგილება) არ შეესაბამება სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს. აღნიშნულ პირობებში, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ნაჩვენებია 3 463 ლიტრი, 4,9 ათასი ლარის ღირებულების ბენზინის ხარჯვა, ხოლო მომსახურებისათვის გადახდილია 12,5 ათასი ლარი.

დასკვნა:

- თბილისის საკორესპონდენტო პუნქტისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავებისათვის გაწეულია საწვავის ხარჯი 26,07 ათასი ლარი, სადაც ადგილი აქვს სატენდერო წინადადების/ხელშეკრულების პირობებთან და GPS მომსახურების მონაცემებთან შეუსაბამობას;

- თბილისის საკორესპონდენტო პუნქტისათვის, 2016 წელში სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავებასთან დაკავშირებით, 2015 წელს განხორციელებული 12,5 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია პრეტენდენტთა არაერთგვაროვანი მიდგომით და შესაძლოა კონკრეტულ პრტენდენტზე იყოს ორიენტირებული.

რეკომენდაცია:

- დაქირავებულ სატრანსპორტო საშუალებებზე ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით, გონივრულ ვადაში შემუშავდეს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, უზრუნველყოფილი იქნეს ხარჯების დანიშნულებისამებრ გაწევის მტკიცებულებათა იდენტიფიცირება და საბუღალტრო დოკუმენტებში ასახულ მონაცემებთან ურთიერთშესაბამისობა;

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით, გაძლიერდეს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის პრეტენდენტთა არაერთგვაროვან მიდგომას.

5.3. სოციალური დახმარება

5.3.1. კრიტერიუმი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს N231/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო, შვებულების ანაზღაურების წესის“ მე-4 მუხლის მიხედვით, დახმარების დანიშვნას, გაანგარიშების სისწორეს და გაცემას უზრუნველყოფს სააგენტო, ხოლო კომპენსაციების დანიშვნას, გაანგარიშებასა და გაცემას – შესაბამისი დაწესებულება. მე-5 მუხლის მიხედვით, დახმარება გაიცემა სააგენტოს მიერ, მაგრამ არა უმეტეს 1,0 ათასი ლარისა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო კომპენსაცია–შესაბამისი დაწესებულების მიერ, მისთვის შესაბამისი ბიუჯეტიდან კანონით გამოყოფილი ასიგნებიდან. ამავე წესის მე-8 მუხლის მიხედვით, დასაქმებულისათვის გასაცემი დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორსა და

[13]სახელნწიფო ნომერი FEF 899

შტატგარეშე დასაქმებულ პირებს შორის, 2015 წელს ხელშეკრულებები[14] გაფორმებულია განსაზღვრული ვადით, 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.3.1.1. გამოვლენილი გარემოება: აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის ბრძანების[15] საფუძველზე, ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი[16], 2015 წლის 4 აგვისტოდან 2016 წლის 2 თებერვლამდე, იმყოფება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში. საბუღალტრო ჩანაწერებით, საშვებულებო პერიოდისათვის გასაცემი თანხა შეადგენს 7,3 ათას ლარს, მათ შორის 1,0 ათასი ლარი სახელმწიფო სოციალური დახმარების წყაროდან, ხოლო 6,3 ათასი ლარი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტიდან, რომელიც გაცემულია სრულად 2015 წლის აგვისტოს თვეში. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აღნიშნული თანამშრომელი დასაქმებულია ხელშეკრულებით 2015 წლის 5 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში. შესაბამისად, ვადის გასვლის შემდეგ ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ოდენობა (კომპენსაციის გაცემის ეტაპზე) იდენტიფიცირებული არ არის, რადგან სახელშეკრულებო ვალდებულება სრულდებოდა 2015 წლის 31 დეკემბერს. აღნიშნულ პირობებში, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ გაცემულია 2016 წლის იანვრისა და თებერვლის კომპენსაცია 1.3 ათასი ლარი[17].

5.3.1.2. გამოვლენილი გარემოება: აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის ბრძანების[18] საფუძველზე, ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი[19], 2015 წლის 26 ოქტომბრიდან 2016 წლის 25 აპრილამდე, იმყოფება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში. საბუღალტრო ჩანაწერებით, საშვებულებო პერიოდისათვის გასაცემი თანხა შეადგენს 6,1 ათას ლარს, მათ შორის 1,0 ათასი ლარი სახელმწიფო სოციალური დახმარების წყაროდან, ხოლო 5,1 ათასი ლარი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტიდან, რომელიც გაცემულია 2015 წლის ოქტომბრის თვეში. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აღნიშნული თანამშრომელი დასაქმებულია ხელშეკრულებით 2015 წლის 5 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში. შესაბამისად, ვადის გასვლის შემდეგ ყოველთვიური შრომის ანაზრაურების ოდენობა (კომპენსაციის გაცემის ეტაპზე) იდენტიფიცირებული არ არის, რადგან სახელშეკრულებო ვალდებულება სრულდებოდა 2015 წლის 31 დეკემბერს. აღნიშნულ პირობებში, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ, 2016 წლის იანვარ-აპრილის თვეების გაცემულია კომპენსაცია 3,9 ათასი ლარი[20]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში[21] ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ პერიოდში, საკომპენსაციო თანხა გაცემულია მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გათვალისწინებით.

---

[14] ხელშეკრულება: დასაქმებული თეონა თურმანიძე 05.01.2015წ ნომერი მინიჭებული არ აქვს. დასაქმებული მაია ვარშანიძე 05.01.2015წ. ნომერი მინიჭებული არ აქვს.

[15] ბრძანება N02-05/103 04/08/2015წ. სავადმყოფო ფურცლი, სერია ად N 810743).

[16] თეონა თურმანიძე პ/ნ 61002012393.

[17] თეონა თურმანიძეზე 01/01/2016 წელში კვლავ გაფორმებულია ხელშეკრულება 31/12/2016 წლამდე.

[18] ბრძანება N02-05/142 26/10/2015წ. სავადმყოფო ფურცლი სერია ად N 1018016 26/10/2015წ და N 1018049 03/11/2015წ .

[19] მაია ვარშანიძე პ/ნ 61006015721.

[20] მაია ვარშანიძესთან 2016 წლის მაისის თვეში გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება 01/01/2017წ-მდე პერიოდზე.

[21] ბრძანება N02-05/86 01.03.2016წ. სალომე გეგეშიძე ს/ფ N1018355. საშვებულებო პერიოდია 2016 წლის პირველი მარტიდან 30 აგვისტოს ჩათვლით, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 01.01.2016წ-31.07.2016წ. კომპენსაცია გაცემულია 31.07.2016-ის ჩათვლით.

დასკვნა:

თანამშრომელთა ორსულობისა და მშობიარობის გამო, საკომპენსაციო ხარჯი 11.3 ათასი ლარი არაერთგვაროვანი მიდგომით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასაქმების ვადის გასვლის შემდეგ პერიოდზეა გაწეული.

რეკომენდაცია:

ანალოგიური დარღვევის შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და ყველა თანამშრომლისთვის საკომპენსაციო თანხების გაცემა განხორციელდეს ერთგვაროვნად, კანონის შესაბამისად.

5.4. სატელევიზიო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

5.4.1. კრიტერიუმი: აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ, 2015 წლის 4 მარტს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA150006997) სატენდერო წინადადებით, შესყიდვის საგანია სატელევიზიო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV 501300000), რომლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღე, ხოლო ტენდერში მონაწილეს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების ჩატარების გამოცდილება. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,თ“ პუნქტის მიხედვით, მომსახურებას მიეკუთვნება შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა, ხოლო ამავე მუხლის ,,ვ“ პუნქტის თანახმად, საქონელი არის ნებისმიერი სახისა და აღწერილობის ქონება (გარდა უძრავი ქონებისა), როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე საქონლის მიწოდების თანმდევი მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას.

გამოვლენილი გარემოება: სატელევიზიო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (CPV 501300000) შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში, მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი შპს ,,გურამექსი“, რომელიც სატენდერო კომისიის მიერ აღიარებულია გამარჯვებულად და 2015 წლის 17 მარტს გაფორმებულია N38 ხელშეკრულება 151.0 ათასი ლარის მომსახურების შესყიდვაზე. გამარჯვებულად აღიარებულ პრეტენდენტს, სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული გამოცდილების შესახებ ინფორმაცია არ წარმოუდგენია, თუმცა აღნიშნულზე სატენდერო კომისიას არ უმსჯელია. გაფორმებულ ხელშეკრულებაში, 2015 წლის 13 მაისს შეტანილია ცვლილება და მომსახურების ვადა განისაზღვრა 105 დღით, თუმცა ვადის გაგრძელების მოტივი და აუცილებლობა წარმოდგენილ ცვლილებაში არ არის იდენტიფიცირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მიმწოდებელს ფაქტობრივად განხორციელებული აქვს 142.0 ათასი ლარის ღირებულების აქტივების მიწოდება და 8,9 ათასი ლარის მომსახურება.

დასკვნა:

- სატელევიზიო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, სატენდერო წინანადებაში და ხელშეკრულებაში მითითებული შესყიდვის კატეგორია და ფაქტობრივად განხორციელებული მიწოდება ურთიერთშეუსაბამოა;
- სატელევიზიო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, შესაბამისი კატეგორიის არასწორად მითითება, გამოცდილების შესახებ მონაცემების წარმოუდგენლობის პირობებში სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტის გამარჯვებულად აღიარება და მომსახურების ვადის სათანადო მტკიცებულების გარეშე გაგრძელება, პრეტენდენტთა შეზღუდვაზე მიუთითებს და შესაძლოა შესყიდვა კონკრეტულ პრტენდენტზე იყოს ორიენტირებული.

რეკომენდაცია:

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობამ, ანალოგიური დარღვევის შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, გააძლიეროს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის კანონშეუსაბამოდ შესყიდვის განხორციელებას და პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვას.

5.5. საკორესპონდენტო პუნქტებზე გაწეული ხარჯი

5.5.1. კრიტერიუმი: აჭარის ტელევიზია და რადიოს საკორესპონდენტო პუნქტებში[22] დასაქმებულ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სხვა ვალდებულებებთან ერთად, დასაქმებული ვალდებულია მიაწოდოს დამსაქმებელს ინფორმაცია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში[23]. სამუშაოს შეუსრულებლობის გამომწვევი გარემოების არსებობისას, წინასწარ ან დაუყონებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს. დამსაქმებლის წინასწარი თანხმობის გარეშე, არა აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ სხვას გადააკისროს შესასრულებელი სამუშაო.

გამოვლენილი გარემოება: აჭარის ტელევიზია და რადიოს მიერ, 2015-2016 წლებში, საკორესპონდენტო პუნქტებში საშუალოდ 31 შემთხვევაში, ხელშეკრულებით დასაქმებულია და გაცემულია შრომის ანაზღაურება 338,6 ათასი ლარი, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის, პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილებისათვის, უსასყიდლოდ გაცემულია[24] 15 998 ლიტრი, 26,84 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. აღნიშნული ავტომანქანები აჭარის ტელევიზია და რადიოს GPS მომსახურების მონაცემებში არ არის ასახული. აუდიტის პერიოდში, ვერ იქნა წარმოდგენილი სრულყოფილი ინფორმაცია

[22] მუნიციპალიტეტი: ქობულეთი, ქედა, შუახევი ხულო, ქუთაისი.

[23] თემების მოძიება, გადაღების დაგეგმვა პროდიუსერთან ერთად, საკადრო და სარეპორტაჟო ტექსტის მომზადება, ჩართვის მომზადება, შეასრულოს საინფორმაციო სამსახურის უფროსის დავალებები.

[24] 2015 წელი 6 213,68 ლიტრი 11 195,16 ლარის ღირებულების. 2016 წელი 9 784,9 ლიტრი, 15 650,9 ლარის ღირებულების.

ცალკეული საკორესპონდენტო პუნქტის მიერ გაწეული საქმიანობის[25] და თანამშრომლებზე უსასყიდლოდ გაცემული საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში ტელევიზიის თანამშრომლები ბრძანებით მივლინებული არიან ცალკეულ მუნიციპალიტეტში, საინფორმაციო გადაცემის სიუჟეტის მომზადებისათვის, თუმცა მივლინების ადგილზე მოქმედი საკორესპონდენტო პუნქტის თანამშრომლების მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი იდენტიფიცირებული არ არის.

დასკვნა:

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებზე უსასყიდლოდ გაცემული 26,84 ათასი ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით სრულყოფილად ხარჯვა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება, ხოლო რიგ შემთხვევაში საინფორმაციო გადაცემისათვის საკორესპონდენტო პუნქტებში თანამშრომელთა მივლინების აუცილებლობა იდენტიფიცირებული არ არის.

რეკომენდაცია:

ანალოგიური ნაკლოვანების შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს საკორესპონდენტო პუნქტებში დასაქმებული პირების მიერ გაწეული საქმიანობის, უსასყიდლოდ გაცემული საწვავის დანიშნულებისამებრ ხარჯვის და თანამშრომელთა მივლინების აუცილებლობის იდენტიფიცირებას.

5.6. კინო და ვიდეო მომსახურება

5.6.1. კრიტერიუმი: კინო და ვიდეო მომსახურების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (SPA160002254) სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებს სამჯერადი სატელევიზიო ჩვენების უფლებით, 350 საათი ლიცენზირებული ფილმების შესყიდვას, მათ შორის მინისერიალი 150 სერია (150 სატელევიზიო საათი), მხატვრული ფილმი 80 ერთეული (120 საათი), დოკუმენტური ფილმი 50 ერთეული (60 წუთიანი ქრონომეტრაჟით), მულტსერიალი 30 საათი. მიწოდებული პროდუქციის სია უნდა იძლეოდეს არჩევანის გაკეთების საშუალებას. კერძოდ, თითოეულ ასარჩევ პოზიციაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ორი ფილმი. ფილმები უნდა იქნეს მიწოდებული მყარ დისკებზე (HDD), რომელიც მიწოდების შემდეგ წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

გამოვლენილი გარემოება: სამჯერადი სატელევიზიო ჩვენების უფლებით 280 ერთეული, 350 საათი ლიცენზირებული ფილმების შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით, ტელევიზიის მიერ წარმოდგენილია შპს ,,სტუდიო ალფას“ (N02/05-1 05.01.2016წ), შპს ,,თბს ტვ მედიას“ (რეგისტრაციის ნომერი არ არის) და შპს ,,ბრავო რექორდს“ (რეგისტრაციის ნომერი არ არის) წინადადებები[26], სადაც ირკვევა, რომ შპს ,,სტუდიო ალფას“ და

[25] ტელევიზიის შიდა კორესპონდენცია N02-21/1417 14.07.2017წ. N02-26/1465 20.07.2017წ. N-უნომრო 20.07.2017წ.
[26] ტელევიზიისა და რადიოს საქმისწარმოების მონაცემებში რეგისტრირებული არ არის.

შპს ,,თბს ტვ მედიას“ წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მხატვრული ფილმების გახმოვანების ღირებულება, ხოლო შპს ,,ბრავო რექორდსის“ მიერ წარმოდგენილ წინადადებაში არ არის იდენტიფიცირებული რას მოიცავს (გახმოვანება, ჩვენების უფლება, ლიცენზია) წარმოდგენილი ფასი. აღნიშნულ პირობებში, 2016 წლის 21 იანვარს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი (SPA160002254), შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 335.0 ათასი ლარით. შესყიდვაში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი შპს ,,ბრავო რექორდსი“, რომელიც გამოვლინდა გამარჯვებულად[27]. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 335,0 ათას ლარს და ითვალისწინებს ხელშეკულების[28] გაფორმებიდან 84 კალენდარული დღის ვადაში, სამჯერადი სატელევიზიო ჩვენების უფლებით, 350 საათი[29] ლიცენზირებული ფილმების შესყიდვას. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული მიწოდებული კინოფილმების სია არ არის წარმოდგენილი[30], ხელშეკრულების შემდგომ, შეთანხმების[31] საფუძველზე შემცირებულია მხატვრული ფილმი 27 ერთეული, დოკუმენტური ფილმი 30 ერთეული და მულტსერიალი 8 საათი, ხოლო გაზრდილია მინისერიალების რაოდენობა 67 საათით (სერია), თუმცა არ არის იდენტიფიცირებული ცვლილების განხორციელების აუცილებლობა და საფუძველი. წარმოდგენილი დოკუმენტებით კი ირკვევა, რომ ფაქტობრივად 2016 წელს ეთერში განთავსებულია მხატვრული ფილმი 3 ერთეულით ნაკლები - 50 ერთეული, ხოლო დოკუმენტური ფილმი 12 ერთეულით ნაკლები - 8 ერთეული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტელევიზიას 2015 წელს ანალოგიური პირობებით, 250,0 ათას ლარად შესყიდული აქვს [32] იმავე შპს ,,ბრავო რექორდსისგან“ სულ 549 საათი[33] კინოფილმები და შესყიდვის ეტაპზე წარმოდგენილი აქვს სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული ფილმების სახელობითი სია.

დასკვნა:

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ, 2015-2016 წლებში სამჯერადი სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა არაერთგვაროვანი მიდგომით არის განხორციელებული. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასათანადო მტკიცებულებით არის განსაზღვრული, ხოლო სატენდრო წინადადებით გათვალისწინებული ფილმების სახელობითი სიის წარმოუდგენლობა და შესაბამისი მტკიცებულების გარეშე მისაწოდებელი ფილმების რაოდენობის და სახეობის ცვლილება, შესაძლოა კონკრეტულ პრეტენდენტზე იყოს ორიენტირებული.

[27] ხელშეკრულება N70 26.02.20176წ.

[28] ხელშეკრულემის მოქმედებს 26.06.2016 წლამდე.

[29] მინისერიალი 150 სერია (სატელევიზიო საათი), მხატვრული ფილმი 80 ერთეული (120 საათი), დოკუმენტური ფილმი 50 სატელევიზიო საათი, 60 წუთიანი ქრონომეტრაჟით) და მულტსერიალი 30 საათი.

[30] მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემით და ტელევიზიის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით,

[31] შეთანხმება უნომრო 12.04.2016წ.

[32] SPA N 150000331. განცხადების დრო 06.01.2015. ხელშ N 18 10.02.2015წ. ღირებულება 250,0 ათასი ლარი. მიმწოდებელი შპს ,,ბრავო რექორდსი“.

[33] მხატვრული ფილმი 166 ერთეული, დოკუმენტური ფილმი 65 ერთეული, მინისერიალი 180 სერია და მულტსერიალი 55 საათი.

რეკომენდაცია:

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობამ, გააძლიეროს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის ერთი და იმავე პირობებით აქტივების შესყიდვის არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებას, არასათანადო მტკიცებულებით აქტივების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრას და შესყიდვის კონკრეტულ პრეტენდენტზე შესაძლო უპირატესობის მინიჭებას.

5.7. ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია და სატელევიზიო სტუდიის მოწყობა

5.7.1. კრიტერიუმი: აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაციით (SPA160008328) და მიმწოდებელთან[34] გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი. სამუშაოს მიღება[35] ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომლის შედგენამდე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობის აქტის წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოს ხარისხი, მოცულობა და მათი შესაბამისობა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

გამოვლენილი გარემოება: აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების კონტროლისა და მიღება-ჩაბარების მიზნით, დირექტორის ბრძანებით[36] განსაზღვრულია სამუშაოების კონტროლის განმახორციელებელი პირები[37]. აღნიშნული პირების მიერ, ეტაპობრივი (შემდგომში სრული) მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებულია სამუშაოების შესრულება, რის საფუძველზეც გადახდილია მიმწოდებელზე 56,6 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მხარეებს შორის შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის იდენტიფიცირებული შესრულებული სამუშაოს ხარისხის და მოცულობის შესაბამისობა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

დასკვნა:

ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხის და ხარჯთაღრიცხვის სხვა პირობებთან შესაბამისობის დადასტურების გარეშე, გადახდილია მიმწოდებელზე 56,6 ათასი ლარი.

რეკომენდაცია:

[34] შპს ,,ვიგორა“ ხელშეკრულება N149 17.05.2016წ. სახელშეკრულებო ღირებულება 56 699 ლარი.
[35] როგორც სრული ასევე ნაწილობრივი.
[36] ბრძანება N02-09/146 10.06.2016წ.
[37] ჯემალ გვეტაძე. რიხარდ გიორგაძე.

დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომ შემდგომში სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების მიმწოდებელზე გადახდა განხორციელდეს სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურების პირობებში .

5.7.2. კრიტერიუმი: სატელევიზიო სტუდიის[38] მოწყობის სამუშაოების სატენდერო წინადადების (SPA160025561) მიხედვით, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს, 2014 წლის 1 იანვრიდან ტენდერის გამოცხადებამდე, უნდა ჰქონდეს შესრულებული არანაკლებ 50 000 ლარის ოდენობის ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები (სამშენებლო სამუშაოები და/ან შენობა/ნაგებობის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოები). სამშენებლო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ბ'' პუნქტის მიხედვით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებია მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების, რეკონსტრუქციის, საწარმოთა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვის, აღდგენითი და სარესტარვაციო სამუშაოები, ხოლო ,,დ" პუნქტის მიხედვით, სამშენებლო საქმიანობაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მშენებლობა დამთავრებული შენობა-ნაგებობების მენაშენისათვის გადასაცემად (ჩასაბარებლად) დამკვეთისა და სამშენებლო კომპლექსის ყველა მონაწილის მოქმედების ერთობლიობა.

გამოვლენილი გარემოება: აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სარგებლობაში არსებული დილის გადაცემის, პოლიტიკური თოქ-შოუს, საინფორმაციო გამოშვების, სამედიცინო გადაცემის და სპორტული გადაცემის სატელევიზიო სტუდიის მოწყობის[39] სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, 2016 წლის 26 სექტემბერს გამოცხადებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერი 42,39 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულებით. შესყიდვაში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი[40]. შერჩევის ეტაპზე, სატენდერო კომისიის მიერ[41] ეთხოვა უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს წარმოედგინა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული, არანაკლებ 50,0 ათასი ლარის ოდენობის ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების (სამშენებლო სამუშაოები და/ან შენობა/ნაგებობის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოები) დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. მოთხოვნის საფუძველზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია გამოცდილების შესახებ დოკუმენტაცია, სადაც ირკვევა, რომ 1,5 ათასი ლარი შეადგენს მდფ-ის კარების დამზადება-მონტაჟის, ხოლო 51,5 ათასი ლარი შეადგენს ბარის დახლის და მდფ-ის კარების დამზადება მონტაჟის ღირებულებას. აღნიშნულ პირობებში, სატენდერო კომისიის მიერ ინდ/მეწარმე ,,დავით შოთაძე[42]" აღიარებული იქნა გამარჯვებულად და 2016 წლის 13 ოქტომბერს გაუფორმდა N240 ხელშეკრულება 40,6 ათასი ლარით, სატელევიზიო სტუდიების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით.

---

[38] სტუდია: დილის გადაცემა, პოლიტიკური თოქ-შოუ, საინფორმაციო გამოშვები, სამედიცინო გადაცემა. სპორტული გადაცემა.

[39] რკინის შემდუღებელი სამუშაოები, ლამინატის მონტაჟი, ორგმინის და წეპვადი სტიკერების მონტაჟი, სტუდიის პოდიუმისათვის რკინის საშემდუღებლო სამუშაოები და განათების მასალების მიწოდება/მონტაჟი.

[40] შპს ,,ART STYLE" ვაჭრობის შემდეგ ფასი 41 950 ლარი. ინდ მეწარმე ,,დავით შოთაძე" ვაჭრობის შემდეგ ფასი 40 699 ლარი.

[41] 2016 წლის 3 ოქტომბერი, ოქმი N2.

[42] რეგისტრირებულია 29.11.2013წ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი.

დასკვნა:

სატელევიზიო სტუდიების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ მტკიცებულების წარმოუდგენლობის პირობებში, სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი გამარჯვებულად იქნა აღიარებული.

რეკომენდაცია:

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, რომ შერჩევის ეტაპზე აღმოიფხვრას პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების სატენდერო წინადადებასთან შეუსაბამობის პირობებში გამარჯვებულის გამოვლენა.

5.8. სატელევიზიო პროგრამების დამზადება-მომსახურება

5.8.1. კრიტერიუმი: სატელევიზიო პროგრამების დამზადება შესყიდვის ელექტრონული ტენდერით (SPA140018680) გათვალისწინებულია სატელევიზიო პროგრამების ხუთი ყოველკვირეული თოქ-შოუს ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, კულტურისა და განათლების შესახებ პირდაპირი ეთერის ფორმატში დამზადების (სულ 215 გადაცემა) სახელმწიფო შესყიდვა. გადაცემა პირდაპირ ეთერში უნდა გავიდეს 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით, ხოლო ეთერში განსათავსებელი ვიდეოსიუჟეტები და სხვა ვიდეომასალა წარმოდგენილი უნდა იყოს DVCAM ფორმატის ვიდეოკასეტებით.

გამოვლენილი გარემოება: აჭარის ტელევიზია და რადიოს და შპს ,,ლაიმ სტუდიოს“ შორის 2014 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული N139 ხელშეკრულების[43] საგანია სატელევიზიო პროგრამების ხუთი ყოველკვირეული თოქ-შოუს ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, კულტურისა და განათლების (სულ 215 გადაცემა) პირდაპირი ეთერის ფორმატში დამზადება-მომსახურების შესყიდვა. ხელშეკრულების პირობებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდი. გადაცემა პირდაპირ ეთერში უნდა გავიდეს 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით, ხოლო მომსახურების ღირებულება 70,9 ათასი ლარი უნდა დაფინანსდეს 2015 წლის სახსრებით. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის და /ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვადების დარღვევის შემთხვევაში), მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო[44], აგრეთვე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ პროგრამა ,,ეკონომიკა“-თოქ-შოუ ,,ეკონომისტი“, 2015 წლის იანვრის შემდეგ პერიოდში

43 სახელშეკრულებო ღირებულება 88 150 ლარი, მათ შორის 2014 წელში 17 220 ლარი, 2015 წელში 70 930 ლარი.
44 სახელშეკრულებო ღირებულების 10 % ოდენობით.

დამზადება-მომსახურება არ განხორციელებულა. მხარეებს შორის, 2015 წლის 10 ივნისს შეტანილია ცვლილება ხელშეკრულებაში, შემცირებულია სატელევიზიო პროგრამების რაოდენობა. კერძოდ, ამოღებულია შესყიდვის ობიექტიდან აღნიშნული პროგრამა „ეკონომიკა“, ხოლო სხვა პროგრამების პირდაპირ ეთერში გასვლის დრო გაგრძელდა 2015 წლის 31 დეკემბრამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატელევიზიო პროგრამის შემცირების არგუმენტირებული მტკიცებულება (აუცილებლობა, მოტივი, მიზეზი), წარმოდგენილი დოკუმენტებით (შეთანხმებით) იდენტიფიცირებული არ არის.

დასკვნა:

სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში, არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება საჯარიმო სანქციასთან დაკავშირებით, ხოლო არგუმენტირებული მტკიცებულების გარეშეა განხორციელებული სატელევიზიო პროგრამების დამზადება-მომსახურება შემცირება.

რეკომენდაცია:

მიმწოდებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გონივრულ ვადაში იმსჯელონ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებასთან დაკავშირებით.

6. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის[45] და დირექტორის ბრძანების[46] საფუძველზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ქონებიდან, მწყობრიდან გამოსული და მორალურად მოძველებულის მოტივით, ბალანსიდან ჩამოწერილია 2015 წელში 66 დასახელების[47] 66.1 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების და 2016 წელში 221,1 ათასი ლარის ნარჩენი[48] ღირებულების აუდიო და ვიდეო აპარატურა[49]. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ჩამოწერის შედეგად ვარგისი მარაგები არ მიუღიათ, ხოლო ჯართის სახით სულ ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში 249 კგ ჯართი[50]. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური დანიშნულების აქტივების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება განხორციელებულია ტექნიკური ექსპერტის[51] მიერ და წარმოდგენილია საექსპერტო დასკვნა,

[45] ოქმი N 1. 18.11.2015 წ. ოქმი N1. 30.06.2016 წ.
[46] ბრძანება N02-03/27 24.11.2015წ. N02-03/20 13.07.2016წ.
[47] წარმოშობის ღირებულება 618,4 ათასი ლარი.
[48] წარმოშობის ღირებულება 959,3 ათასი ლარი.
[49] კომპიუტერები, ტელევიზორები, ვიდეოსიგნალის გარდამქნელები, გადამცემი ანტენები, გადამცემი სადგურები, ვიდეო კამერები და სხვა.
[50] 2015 წელში 141 კგ ჯართი, 2016 წელში 108 კგ. ჯართი.
[51] ფიზიკური პირი სერგო ჭახნაკია პ/ნ 61001019683.

თუმცა [52] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პირს 2013 წლის 9 დეკემბრიდან ინდივიდუალური მეწარმის სტატუსის რეგისტრაცია გაუქმებული აქვს. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ბალანსიდან ჩამოწერილი სპეციალური დანიშნულების აქტივების სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების გათვალისწინებით, ჩამოწერილ აქტივებში შემდგომში გამოყენებისათვის ვარგისი დეტალების არარსებობა, მაღალი რისკის შემცველია.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

ნადიმ ბოლქვაძე
/წამყვანი აუდიტორი/



გოჩა შარაბიძე
/წამყვანი აუდიტორი/



გურანდა გვაზავა
/აუდიტორი/

ავთანდილ აბაშიძე
/აუდიტორ-ასისტენტი/

15/09/2017წ.

[52] ხელშ N120 27.10.2015წ გადახდილია 355 ლარი. ხელშ N163 03.06.2016წ გადახდილია 350 ლარი.